



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამების კლასტერის შესახებ

"საჯარო მმართველობის და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო
პროგრამა

"ციფრული მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
"საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

2024 წლის 11, 14 და 15 ოქტომბერი

2024 წლის 27 იანვარი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	200002120
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნატალი ალექსანდრა გურვიტს - სუიტსი, ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ესტონეთი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ფარსადანიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ელენე გრიგოლია, პროექტის მართვის კონსულტანტი/PMP მიწის ადმინისტრირების, ციფრული ტრანსფორმაციისა და ინოვაციების მიმართულებით, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ბოცვაძე ილია, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საჯარო მმართველობა და პოლიტიკა	ციფრული მმართველობა	საჯარო მმართველობა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საჯარო მმართველობის ბაკალავრი	საჯარო მმართველობის მაგისტრი	საჯარო მმართველობის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	დონე 6	დონე 7	დონე 8
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ¹			
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	180	120	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი	ახალი	ახალი

1 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ²

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში 2012 წელს დაარსებული საჯარო მმართველობის და პოლიტიკის სკოლა წარმოადგენს სწრაფად მზარდ ერთეულს, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას და აწარმოებს კვლევებს საჯარო მმართველობის სფეროში.

სკოლის მისიას მოამზადოს კვალიფიციური საჯარო მოხელეები, სახელმწიფო ხელმძღვანელი პირები და მკვლევრები, რომლებიც ხელს შეუწყობენ წარმატებულ მმართველობას, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და საზოგადოების განვითარებას. სკოლა მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამების ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას, უცხო ენების სწავლებით და გლობალური პარტნიორობის გაძლიერებით საერთაშორისო შესაძლებლობებისთვის სტუდენტების მომზადებას.

კლასტერში დაჯგუფებულია სამი საფეხურის პროგრამები: საჯარო მმართველობის ბაკალავრის, საჯარო მმართველობის მაგისტრის და საჯარო მმართველობის დოქტორის საგანმანათლებლო პროგრამები.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" 3 წლიანი საბაკალავრო პროგრამა, რომელიც პირველად შემუშავდა საქართველოში ეფუძნება არსებული 4 წლიანი პროგრამის 12 წლიან გამოცდილებას, რომელსაც პირველად აკრედიტაცია მიენიჭა 2012 წელს და შემდეგ 2022 წელს. ახალი 3 წლიანი პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოხელეები, რომლებიც პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს და დემოკრატიული საზოგადოების პრინციპებს. პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს თანამედროვე ცოდნის ბაზას საჯარო მმართველობის დარგში, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს განავითარონ თავიანთი ინტერესები ინდივიდუალურად მორგებული კურსების მეშვეობით. პროგრამის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს მისი პრაქტიკული კომპონენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ თეორიული ცოდნის რეალურ გარემოში გამოყენებას. გარდა ამისა, პროგრამა მოიცავს უნიკალურ სოციალური აქტივობის კომპონენტს, რომელიც შექმნილია სამოქალაქო ჩართულობის, ემპათიის და საზოგადოების მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების წახალისების მიზნით. პროგრამა აკმაყოფილებს საჯარო მმართველობის განათლების ყველა საჭირო სტანდარტს და უნივერსიტეტი გეგმავს უზრუნველყოს მისი ფართო ხელმისაწვდომობა.

² პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

"ციფრული მმართველობის" სამაგისტრო პროგრამა ინოვაციურია, ის შექმნილია საჯარო მმართველობის ქართულ სამაგისტრო პროგრამაზე და გერმანიის ფედერაციასთან და საფრანგეთთან ერთობლივ პროგრამებზე დაყრდნობით, რომელიც ახალი ორიენტაციის და ინოვაციების შემოტანით აერთიანებს მათ ძირითად სტრატეგიებს. აღნიშნული ცვლილებები ასახავს მიმდინარე ტექნოლოგიურ მიდწევებს, შრომის ბაზრის გაციფრულებას, თანამედროვე სოციო - ეკონომიკურ ტენდენციებს და ევროპული ინტეგრაციის გაღრმავებას, რაც გლობალურ დონეზე გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. პროგრამის მიზანია მოამზადოს კურსდამთავრებულები, რომლებიც შეძლებენ გააკეთონ თანამედროვე გლობალური ტენდენციების ანალიზი და მიიღონ ქვეყნისთვის ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებები. პროგრამა ინტეგრირებული პრაქტიკული კომპონენტებით აძლიერებს თეორიულ ცოდნას და ამზადებს სტუდენტებს პროფესიული კარიერისთვის საჯარო მმართველობაში.

"საჯარო მმართველობის" არსებული სადოქტორო პროგრამა აკრედიტებული იყო 2016 წელს, თუმცა უნივერსიტეტმა თანამედროვე გლობალიზაციის და აღნიშნულ სფეროში არსებული განვითარებადი გამოწვევების უკეთ ასახვის მიზნით გადაწყვიტა ახალი პროგრამის შემუშავება. მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ წვლილის შეტანას როგორც აკადემიურ, ისე პრაქტიკულ საჯარო მმართველობაში. ახალ სადოქტორო პროგრამაში გათვალისწინებულია განახლებული მიზნები, სწავლის შედეგები, აკადემიური პერსონალი და სილაბუსები, პროგრამა ორიენტირებულია თანამედროვე მმართველობის სირთულეებზე. პროგრამის მიზანია ჩამოაყალიბოს ლიდერები, რომლებიც გაიზიარებენ დასავლურ ღირებულებებს და შეძლებენ საჯარო მმართველობის რეფორმების ეფექტურ განხორციელებას საქართველოში. დოქტორანტებს შესაძლებლობა ექნებათ იკვლიონ საჯარო მმართველობის სფეროში შეუსწავლელი საკითხები. პროგრამის ინოვაციურ ასპექტს წარმოადგენს ბლოკ - სემინარის ფორმატი, რაც ხელს უწყობს სტუდენტების დროის მენეჯმენტის ოპტიმიზაციას და დამოუკიდებელ სწავლას.

მთლიანობაში, აღნიშნული სამი საგანმანათლებლო პროგრამა იზიარებს ძირითად მახასიათებლებს, ორიენტირებულია საჯარო მმართველობაზე და შესაბამის კვალიფიკაციებზე. აღნიშნული სფერო აქცენტს აკეთებს საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე და სახელმწიფოს განვითარებაზე, სწავლობს მმართველობის სისტემებს და ღირებულებებს. პროგრამები მოიცავენ ისეთ მნიშვნელოვან პროცესებს, როგორიცაა საჯარო ორგანიზაციებში და დაწესებულებებში დაგეგმვა, ორგანიზება, ხელმძღვანელობა, კოორდინირება, ოპერირება და ანგარიშგება.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი გაიმართა 2024 წლის 11 ოქტომბერს ბათუმში და 15 - 16 ოქტომბერს თბილისში. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ყოვლისმომცველი თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია, როგორცაა: საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი, სტუდენტის სტატუსის დებულება, მაგისტრატურის რეგულაციები, სამეცნიერო კვლევის სტანდარტი, პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალის დეტალები, თითოეული პროგრამის სილაბუსები და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.

ვიზიტის განმავლობაში, ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა შეხვედროდა და გასაუბრებოდა უნივერსიტეტის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის ადმინისტრაციას, პროგრამის მმართველ გუნდს, თვითშეფასების სამუშაო ჯგუფს და ხარისხის უზრუნველყოფის გუნდს. ასევე, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალს, სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლებს, დამსაქმებლებს, კურსდამთავრებულებს და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს. ყველა მონაწილე თანამშრომლობდა ექსპერტთა ჯგუფთან და ერთვებოდნენ ღია და კონსტრუქციულ დისკუსიებში. ვიზიტის განმავლობაში, ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნები დამატებითი ინფორმაციის მიწოდების და გასაუბრებების შესახებ კმაყოფილდებოდა სწრაფად და პროფესიონალურად.

ექსპერტთა ჯგუფს სურს გულწრფელი მადლობა გადაუხადოს ყველა მონაწილეს თანამშრომლობისთვის, დამატებითი ინფორმაციის და უკუკავშირის წარმოდგენის მზაობისთვის და ვიზიტის განმავლობაში მეგობრული და პროდუქტიული გარემოს შექმნისთვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა და შეაფასა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ვიზიტამდე და ვიზიტის განმავლობაში წარმოდგენილი როგორც ძირითადი ისე დამატებითი დოკუმენტაცია, გააანალიზა გასაუბრებების დროს მიღებული ინფორმაცია და დადებითი შთაბეჭდილება შეექმნა კლასტერში დაჯგუფებული შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. ზოგადად, პროგრამები მეტწილად შეესაბამება სტანდარტებს და

სრულად შეესაბამება მე-3 და მე-4 სტანდარტებს. შესაბამისობის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დასკვნაში.

- **რეკომენდაციები**

კლასტერული ზოგადი რეკომენდაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- რეკომენდებულია, სამომავლოდ მთავრობის შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების და სტრატეგიების შესწავლა და პროგრამის მიზნების აღნიშნულ დოკუმენტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.
- რეკომენდებულია, სტუდენტების სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის შეფასების გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტმა შეიმუშავოს და შეინარჩუნოს ყოვლისმომცველი სტატისტიკური ჩარჩო. აღნიშნული ჩარჩოს მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს მონაცემების განაწილება აქტივობის სახის, მონაწილეობის კატეგორიის (მაგ. სემინარები, ონლაინ / პირისპირ ღონისძიებები, სამუშაო შეხვედრები და ა.შ.), სქესის და სხვა შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით, ასევე წლების მიხედვით აღირიცხოს დასწრების მაჩვენებელი დროის მანძილზე დინამიკის მონიტორინგის მიზნით.
- რეკომენდებულია, უსდ - ს სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების ცნობიერების ამაღლება პლაგიატის დასაშვები მაჩვენებლის შესახებ.
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს თანამშრომლობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან იმისათვის, რომ უზრუნველყოს მათი ეფექტური ჩართულობა პროგრამის შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების პროცესში. აღნიშნული მიზნით, მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს სამუშაო შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში და შეფასების პროცესში ჩართულ პირებთან.
- რეკომენდებულია, პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით ჩატარდეს მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი გარე შეფასება, რომელიც გაითვალისწინებს როგორც კლასტერულ, ისე ინდივიდუალურ გარე შეფასებას.

"საჯარო მმართველობის და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1.5 რეკომენდებულია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის სიის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს რესურსების რელევანტურობა, თანამედროვეობა და შესაბამისობა აკადემიურ სტანდარტებთან.

1.5 რეკომენდებულია, გადამოწმდეს სილაბუსის ლიტერატურის სექციაში მითითებული ბმული, რათა დარწმუნდეთ, რომ ის არსებულ რესურსზე მიუთითებს.

"ციფრული მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

1.2 რეკომენდებულია, აღნიშნული შედეგების შესწავლა და გადახედვა იმისათვის, რომ ხაზი გაესვას პროგრამის დამახასიათებელ უნიკალურ ასპექტებს საგანმანათლებლო ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით.

1.2 რეკომენდებულია, პროგრამის ორიენტაციის უკეთ წარმოჩენის მიზნით, შემცირდეს ძირითადი სწავლის შედეგების რაოდენობა მაქსიმუმ ათამდე.

1.4 რეკომენდებულია, პროგრამაში სავალდებულო საგნის სტატუსით გათვალისწინებული იყოს "პროექტის მართვის" კურსი. რეკომენდებულია, პროგრამის პრაქტიკული ასპექტის გაძლიერების მიზნით შემუშავდეს სპეციფიკური ჩარჩო და სტანდარტები.

1.5 რეკომენდებულია, გადამოწმდეს სილაბუსის ლიტერატურის სექციაში მითითებული ბმული, რათა დარწმუნდეთ, რომ ის არსებულ რესურსზე მიუთითებს.

5.2 რეკომენდებულია, პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი გარე შეფასება, რომელიც მოიცავს როგორც კლასტერზე დაფუძნებულ, ისე ინდივიდუალურ გარე შეფასებას.

"საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

1.4 რეკომენდებულია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს საჯარო მმართველობაში კვლევის და თეორიის საბაზისო ცოდნის, ბიუჯეტირების და ფინანსების, საჯარო პოლიტიკის და მმართველობის კურსები.

2.1 რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები შეესაბამებოდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N141 / ნ ბრძანებას მისი ძალაში შესვლის თარიღის გათვალისწინებით.

5.3 სადოქტორო პროგრამის შემდგომი განვითარებისა და საჯარო მმართველობაში უახლესი სამეცნიერო ცოდნის ჩასართავად, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის მიზნით, რეკომენდებულია ამ პროგრამის შედარება დასავლეთის წამყვან უნივერსიტეტებში არსებულ მსგავს შეთავაზებებთან.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

კლასტერული ზოგადი რჩევები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- სასურველია, ჩამოყალიბდეს სასწავლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის უფრო სტრუქტურირებული და სტანდარტიზებული მიდგომა.
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებული იყოს მდგრადობის კომპონენტი, რომელიც ორიენტირებული იქნება სხვადასხვა გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით განზომილებაზე.
- სასურველია, გაძლიერდეს და გაფართოვდეს პარტნიორობა საჯარო ორგანიზაციებთან. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია თანამშრომლობითი ღონისძიებების, ერთობლივი პროექტების საშუალებით, რომლებიც ხელს უწყობს საერთო ინტერესებს და აუქმობს სტუდენტების საგანმანათლებლო გამოცდილებას.
- სასურველია, შემუშავდეს მემორანდუმების რეგულარული გადახედვის და განახლების გრაფიკი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობა და ასახავდეს ინდუსტრიის მიმდინარე საჭიროებებს. აღნიშნული პროაქტიული მიდგომა ხელს შეუწყობს სასწავლო გეგმაში პრაქტიკული კომპონენტების რელევანტურობის და ეფექტურობის შენარჩუნებას.
- სასურველია, გაძლიერდეს დამსაქმებელთა ჩართულობა და სტრუქტურირებული ჩართულობის შესაძლებლობების შესაქმნელად, როგორიცაა: საკონსულტაციო საბჭოები, მოწვეული ლექტორები და ა.შ. გამოყენებულ იქნეს დამსაქმებლების დადებითი უკუკავშირი. დამსაქმებელთა პირდაპირი ჩართულობა ხელს შეუწყობს სასწავლო გეგმაში და კომპონენტებში მათი ხედვების ინტეგრირებას.
- სასურველია, ინოვაციური პროექტების შემუშავების მიზნით წახალისდეს დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, რომლებიც შესალოა გათვალისწინებულ იქნას სასწავლო გეგმაში.
- სასურველია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის გამოქვეყნებები საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში.
- სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო - კვლევით აქტივობებში.
- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით განხორციელდეს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ტრენინგები ხელოვნური ინტელექტის ეფექტურ გამოყენებასთან დაკავშირებით. სასურველია, პროგრამების სასწავლო გეგმებში გათვალისწინებული იყოს ხელოვნური ინტელექტის არჩევითი კურსი.

"საჯარო მმართველობის და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1.4 სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებული იყოს ხელოვნური ინტელექტის წარმატებული გამოყენების შესაძლებლობა.

"ციფრული მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

2.2 პროექტების მენეჯმენტის სავალდებულო კურსის დამატება, როგორც ეს დეტალურადაა მოცემული კომპონენტში 1.4. - საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი. ამასთანავე, Agile მეთოდოლოგიებზე ცენტრირებული პრაქტიკული კომპონენტის ინკორპორირება კიდევ უფრო მეტად განავითარებს სტუდენტთა პრაქტიკულ გამოცდილებას და მათ საშუალებას მისცემს ეფექტურად გამოიყენონ თეორიული ცოდნა რეალურ ცხოვრებისეულ სცენარებში.

"საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

1.4 სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებული იყოს ხელოვნური ინტელექტის წარმატებული გამოყენების შესაძლებლობა.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)³
- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ჩვენ ვეთანხმებით თქვენს კომენტარს სტანდარტ 1.4-თან (საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი) მიმართებით და ამგვარად რეკომენდაცია - „რეკომენდებულია, ჩამოყალიბდეს სასწავლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის უფრო სტრუქტურირებული და სტანდარტიზებული მიდგომა“ ფორმულირდა რჩევად. ჩვენ ასევე ვეთანხმებით, რომ სტანდარტი 2.1-ის რეკომენდაცია - „რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები შეესაბამებოდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N141/ნ ბრძანებას მისი ძალაში შესვლის თარიღის გათვალისწინებით“ ვალიდურია მხოლოდ სადოქტორო სწავლებისთვის და შესაბამისად, ოქმში შეტანილია ცვლილებები. რაც შეეხება სხვა კომენტარებს, ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციისა და ჩვენი საერთო მოსაზრების გათვალისწინებით სხვა კომენტარებთან მიმართებით ვინარჩუნებთ იმავე პოზიციას.

³ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

ასევე, 3.1 კომპონენტში გაცემული რჩევა „სასურველია, შემომაგალი სტუდენტების მოზიდვით და გამავალი სტუდენტების მხარდაჭერით გაძლიერდეს სტუდენტების მობილობა“ გადაიხედა და ამოღებულ იქნა.

• ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁴
2. კლასტერული შეფასება⁵

სტანდარტი / კომპონენტი	შეფასების მიდგომები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული

⁴ შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁵ შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, უნივერსიტეტის მისიაა მაღალი აკადემიური კულტურის განვითარება, რომელიც ქმნის ინტელექტუალურ სიმდიდრეს მოთხოვნად სფეროებში სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდებით. მისი მიზანია კურსდამთავრებულები აღჭურვოს საჭირო კომპეტენციებით იმისათვის, რომ მიაღწიონ წარმატებას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს ძლიერი სამეცნიერო - კვლევითი კულტურის განვითარებას ცოდნის შენარჩუნების, ინოვაციების და წამყვან მეცნიერებთან თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით. და ბოლოს, უნივერსიტეტი ცდილობს მოამზადოს კომპეტენტური სპეციალისტები, რომლებიც დადებით წვლილს შეიტანენ საზოგადოების და ეკონომიკის განვითარებაში (<https://grigolrobakidzeuniversity.org/about/>). მისია ხაზს უსვამს სტუდენტთა საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული განათლების პრიორიტეტულობის მნიშვნელობას, შრომის ბაზარზე შესვლისთვის მომზადებულ კურსდამთავრებულებს, მაღალი დონის პროგრამების მეშვეობით უმაღლესი განათლების ხელშეწყობას, ასევე სამეცნიერო კვლევებს, რომლებიც ხაზს უსვამს კურსდამთავრებულების როლს საზოგადოების და მისი მომავლის განვითარებაში შეტანილ დადებით წვლილს. შედეგად, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები შეესაბამება მისიას, რომელიც მიზანდისახავს მოამზადოს სწავლის სფეროს შესაბამისი ცოდნის და უნარების მქონე პროფესიონალები. ისინი აერთიანებენ მყარ თეორიულ საფუძვლებს და პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც ხელს უწყობს მისიის საერთო მიზნებს.

ზოგადად, საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და რეალისტურია, ასახავს ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომლებსაც მიაღწევენ კურსდამთავრებულები სასწავლო პროცესის დასრულების შემდგომ. ყველა პროგრამის მიზანი საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე. ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ აღნიშნული მიზნები შემუშავებულია დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის საჭიროებების, ასევე საჯარო მმართველობის სფეროში უახლესი მიღწევების გათვალისწინებით. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ უსდ - ს მიერ მომზადებული თვითშეფასების ანგარიში სათანადოდ არ ასახავს პროგრამის მიზნების შესაბამისობას შესაბამის სამთავრობო სტრატეგიებთან. უმჯობესი იქნება უნივერსიტეტმა სამომავლოდ გადახედოს შესაბამის სამთავრობო პოლიტიკის დოკუმენტებს და სტრატეგიებს და უზრუნველყოს პროგრამის მიზნების შესაბამისობა აღნიშნულ დოკუმენტებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1. "საჯარო მმართველობა და პოლიტიკა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის მიზნებია მოამზადოს საჯარო მმართველობის კვალიფიციური პროფესიონალები, რომლებიც შეძლებენ საჯარო მმართველობის სფეროში ეფექტურ მუშაობას. თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შერწყმით, სტუდენტები შეისწავლიან სახელმწიფო მართვის პრინციპებს და საჯარო პოლიტიკას, რაც ხაზს უსვამს კრიტიკულ აზროვნებას და ეთიკურ ცნობიერებას. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს სწავლების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნას, რომელიც სტუდენტებს გადასცემს ცოდნას როგორც ადგილობრივი, ისე გლობალური შრომის ბაზრის ტენდენციების შესახებ, ამავდროულად გააუმჯობესებს მათი ინგლისური ენის ცოდნის დონეს და საერთაშორისო გაგებას. სწავლის პროცესში სტუდენტები განივითარებენ აზროვნების უნარებს უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, რაც მათ დაეხმარება გაიაზრონ თანამედროვე მსოფლიოს კულტურული და ეთიკური ღირებულებები, ასევე გამოიმუშავენ სპეციფიკურ და ზოგად უნარებს, რომლებიც ხელს უწყობს და ავითარებს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და რეალისტურია, ასახავს იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომლებსაც კურსდამთავრებულები მიიღებენ სწავლის პროცესის დასრულების შემდგომ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2. "ციფრული მმართველობა" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ზოგადად, საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და რეალისტურია, ასახავს ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომლებსაც მიაღწევენ კურსდამთავრებულები სასწავლო პროცესის დასრულების შემდგომ. პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს მაღალკვალიფიციური პროფესიონალი მენეჯერები საჯარო მმართველობაში, რომლებსაც ექნებათ ციფრული ტრანსფორმაციის, კრიტიკული აზროვნების და ეთიკური პასუხისმგებლობების სიღრმისეული ცოდნა.

პროგრამა სტუდენტებს ამზადებს წარმატებული კარიერისთვის როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ შრომის ბაზარზე, ხელს უწყობს კვლევით უნარებს და აძლიერებს მათ უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, რაც წვლილს შეიტანს ზოგადად საჯარო მმართველობის და საზოგადოების განვითარებაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3. "საჯარო მმართველობა" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ზოგადად, საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და რეალისტურია, ასახავს ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომლებსაც მიაღწევენ კურსდამთავრებულები სასწავლო პროცესის დასრულების შემდგომ. პროგრამა ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური მკვლევრების მომზადებაზე, რომლებიც შეძლებენ უპასუხონ ცოდნაზე დაფუძნებულ შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ის ასევე მიზნად ისახავს აღჭურვის სტუდენტები კრიტიკული ანალიზის და შეფასების უნარებით, გააღრმავოს საჯარო მმართველობის გაგება და წახალისოს ახალი იდეები და შემოქმედებითი კვლევა. პროგრამა ასევე ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევის კულტურის ჩამოყალიბებას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით და სტუდენტების წახალისებას, განახორციელონ დამოუკიდებელი კვლევები, რომლებიც უპასუხებენ საზოგადოებრივ საჭიროებებს. სწავლის პროცესში სტუდენტები ასევე შეისწავლიან პროფესიულ ეთიკას და სოციალურ პასუხისმგებლობას, რაც დამატებით ღირებულებას სძენს სწავლის სფეროს მდგრად განვითარებას. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა ორიენტირებულია ძლიერი საგანმანათლებლო და კვლევითი სისტემის შექმნაზე საჯარო მმართველობის სფეროში ლიდერების და მკვლევრების განვითარებისთვის. აღნიშნული უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართულობას მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პროცესში და წვლილის შეტანას დარგის და საზოგადოების განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიში;
- შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მისია;
- შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ვებ - გვერდი;
- კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები;
- ვიზიტის დროს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული გასაუბრებების დროს მიღებული ინფორმაცია.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: რეკომენდებულია, სამომავლოდ მთავრობის შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების და სტრატეგიების შესწავლა და პროგრამის მიზნების აღნიშნულ დოკუმენტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება⁶

7

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. "საჯარო მმართველობა და პოლიტიკა" საბაკალავრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 2. "ციფრული მმართველობა" სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 3. "საჯარო მმართველობა" სადოქტორო პროგრამა	☐	X	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამების მიზნებს. ისინი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული იმისათვის, რომ განსაზღვროს ცოდნა, უნარები, ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა, რომელსაც სტუდენტი იძენს სწავლის დასრულებისას, მიზნად ისახავს

⁶ შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

ადგილობრივ კანონებთან და რეგულაციებთან, ასევე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 მუხლთან შესაბამისობას, სადაც "უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღმწერი განსაზღვრავს შესაბამის დონეზე მისაღწევი ცოდნის, უნარების და ღირებულებების მოცულობას შემდეგი ექვსი კრიტერიუმის მიხედვით:

- ა) ცოდნა და გაცნობიერება
- ბ) ცოდნის გამოყენება
- გ) დასკვნის გაკეთება
- დ) კომუნიკაციის უნარები
- ე) სწავლის უნარი
- ვ) ღირებულებები

სწავლის შედეგების ზემოხსენებულ კრიტერიუმებთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია სასწავლო გეგმის რუკა.

საერთო ჯამში, შეიძლება დადასტურდეს, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამების მიზნებს, დეტალურად აღწერს კომპეტენციებს, უნარებს, პასუხისმგებლობებს და დამოუკიდებლობის დონეს, რომლებსაც სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დასრულების შემდეგ. აღნიშნული შედეგები შექმნილია შრომის ბაზარზე არსებული უახლესი ტენდენციების შესაბამისად და მოიცავს დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის ღირებულ მოსაზრებებს, მათ შორის დამსაქმებლებისგან, აკადემიური საზოგადოებისგან, სტუდენტებისგან და კურსდამთავრებულებისგან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აქტიურად უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამების განახლებას და მათი მიზნების და სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას, რაც ასევე დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს.

საგანმანათლებლო ფილოსოფია პრიორიტეტს ანიჭებს ძლიერ კავშირს თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს და მათ პრაქტიკულ გამოყენებას შორის, რაც ასახავს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციას. ის ასევე ითვალისწინებს შიდა დაინტერესებული მხარეების საჭიროებებს სტუდენტებისთვის თავისუფალი და არჩევითი კურსების შერჩევის მოქნილობის შეთავაზებით. სწავლის შედეგები შეესაბამება მოქმედ რეგულაციებს, საგანმანათლებლო მიზნებს და პროფესიული სფეროებს, სადაც დასაქმდებიან კურსდამთავრებულები. ისინი შემუშავებულია იმგვარად, რომ იყოს მიღწევადი და ხელი შეუწყოს შეფასების ჩარჩოს, რომელიც იყენებს შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1. "საჯარო მმართველობა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებს, რაც დაეხმარება სტუდენტებს მიიღონ მყარი განათლება საჯარო მმართველობის სფეროში. კურსდამთავრებულები შეისწავლიან ეროვნულ სამთავრობო სისტემას და განივითარებენ პრაქტიკულ უნარებს საკითხების გასაანალიზებლად და შესაბამისი დოკუმენტების ან კვლევითი პროექტების შესაქმნელად.

სწავლის პროცესში სტუდენტები გააცნობიერებენ სახელმწიფოს და საჯარო პოლიტიკის მართვის საფუძვლებს, რაც გააუმჯობესებს მათ კრიტიკულ აზროვნებას, პროფესიულ უნარებს და ეთიკას - მნიშვნელოვანი თვისებები მომავალი კარიერული წარმატებისთვის. ინგლისური ენის გაუმჯობესებასთან ერთად, პროგრამა ასევე უზრუნველყოფს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრების და ტენდენციების შესწავლას.

პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტებს შეისწავლონ სხვადასხვა კულტურა და გაიღრმავონ ცოდნა, რაც მათ დაეხმარება წარმატებით გაუმკლავდნენ თანამედროვე გამოწვევებს. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების წახალისებას ჩაერთონ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პროცესში და უვითარებს მათ ძლიერი კომუნიკაციის უნარებს ქართულ და სხვა ენებზე. ყოველივე ზემოაღნიშნული უზრუნველყოფს სტუდენტების, როგორც კვალიფიციური პროფესიონალების მომზადებას, რომლებსაც გააჩნიათ უნარი დადებითი წვლილი შეიტანონ საზოგადოებაში.

ზოგადად, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის სწავლის შედეგები მჭიდროდ არის დაკავშირებული მის მიზნებთან და ასახავს მის უნიკალურობას. პროგრამის სწავლის შედეგები ასევე განსაზღვრავენ, თუ რა ცოდნა, უნარები და პასუხისმგებლობის და დამოუკიდებლობის გრძნობა ექნებათ სტუდენტების პროგრამის დასრულების შემდგომ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2. "ციფრული მმართველობა" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

მთლიანობაში, საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია 13 სწავლის შედეგი. სწავლის შედეგები შეესაბამება საგანმანათლებლო მიზნებს და აკადემიურ სტანდარტებს, რომლებიც საჭიროა სწავლის კონკრეტული სფეროსთვის, ასახავს თანამედროვე ცოდნას და აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოლოდინებს, სადაც დასაქმდებიან კურსდამთავრებულები. ასევე, მათში აქცენტი კეთდება საჯარო მმართველობის პრინციპების ყოვლისმომცველ გაგებაზე, ინოვაციური მართვის სტრატეგიებზე და მმართველობაში ციფრული ტრანსფორმაციის მნიშვნელობაზე. სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტები იძენენ პრაქტიკულ უნარებს, რომლებიც საჭიროა მმართველობის გამოწვევების გადასაჭრელად. სწავლის შედეგები აჩვენებს ეთიკური ქცევის და წარმატებული მმართველობის ვალდებულებას. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სწავლის შედეგები ამზადებს სტუდენტებს საჯარო მმართველობის დინამიურ სფეროში ეფექტური ჩართულობისთვის და წვლილის შეტანისთვის.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ შედეგები გარკვეულწილად შემუშავებულია უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში აღწერილი შედეგების შესაბამისად. იმისათვის, რომ საგანმანათლებლო პროგრამა იყოს უფრო განსხვავებული, რეკომენდებულია, გადაიხედოს და

გადამუშავდეს სწავლის შედეგები პროგრამის უნიკალურობის წარმოსაჩენად და საგანმანათლებლო ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად.

გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების საერთო რაოდენობა საკმაოდ მაღალია - ჯამში ცამეტი. რეკომენდებულია ძირითადი სწავლის შედეგების შემცირება მაქსიმუმ ათამდე პროგრამის ორიენტაციის წარმოსაჩენად. სხვა სწავლის შედეგები შეიძლება დაემატოს ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3. "საჯარო მმართველობა" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და განსაზღვრავს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და დამოუკიდებლობას, რომლებსაც სტუდენტები განივითარებენ სწავლის დასრულებისას. სწავლის შედეგების მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს გააცნობიერონ თავიანთ სფეროში უახლესი მეცნიერება და გაიუმჯობესონ კვლევითი უნარები. მოკლედ რომ ითქვას, სტუდენტები წახალისებულნი არიან იაზროვნონ კრიტიკულად და განავითარონ საკუთარი იდეები და იმავე დროს დადებითი გავლენა იქონიონ თავიანთ სფეროზე. საგანმანათლებლო მიდგომა ხაზს უსვამს თანამედროვე კვლევას და პრაქტიკულ გამოყენებას შორის არსებულ მჭიდრო კავშირს, რაც ასახულია სასწავლო გეგმაში და აკადემიური პერსონალის გამოცდილებაში. ის ასევე ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს არჩევითი კურსების შეთავაზებით. სწავლის შედეგები შემუშავებულია შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და საერთო აკადემიურ ჩარჩოს. ისინი მორგებულია კურსდამთავრებულთა მომავალი პროფესიული კარიერის მოლოდინებზე და თანამედროვე შემოქმედებით კვლევით სფეროში მათი წვლილის შეტანაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69 / ნ ბრძანება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლების სფეროების კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ;

ეროვნული უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ქსელი;

თვითშეფასების ანგარიში;

შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები;

ვიზიტის დროს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული გასაუბრებების დროს მიღებული ინფორმაცია.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2. "ციფრული მმართველობა" სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, აღნიშნული შედეგების შესწავლა და გადახედვა იმისათვის, რომ ხაზი გაესვას პროგრამის დამახასიათებელ უნიკალურ ასპექტებს საგანმანათლებლო ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით.
- რეკომენდებულია, პროგრამის ორიენტაციის უკეთ წარმოჩენის მიზნით, შემცირდეს ძირითადი სწავლის შედეგების რაოდენობა მაქსიმუმ ათამდე.

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. "საჯარო მმართველობა და პოლიტიკა" საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2. "ციფრული მმართველობა" სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 3. "საჯარო მმართველობა" სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალის და სტუდენტების მიერ, რომლებისთვისაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს კონსულტაციებს უკუკავშირის და რჩევების მისაღებად. პროგრამის შეფასება მოიცავს შეროვებული ანალიზის საფუძველზე პროგრამის განხორციელების ანალიზს, მის შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების და სამიზნე ნიშნულების მიხედვით და სხვადასხვა სფეროების, მათ შორის სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაინტერესებულ მხარეებს სთავაზობს მხარდაჭერას სასურველი სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და განსაზღვრავს პროგრამაში განსახორციელებელ აუცილებელ ცვლილებებს. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებში. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე, აღწერს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს და უზრუნველყოფს გამჭვირვალობას დაინტერესებული მხარეებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამების და მათი სწავლის შედეგების შეფასების მიზნით მუშავდება მონიტორინგის და შეფასების გეგმა, რომელიც დეტალურად აღწერს შეფასების ვადებს, მეთოდებსა და სამიზნე ნიშნულებს. აღნიშნული გეგმა მოიცავს კვლევის მეთოდებს, მონაცემთა შეროვების პერიოდებს, პასუხისმგებელ პირებს და წყაროებს. ასევე მოიცავს მაკორექტირებელ ქმედებებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

გეგმა მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ კვლევის მეთოდებს, სტუდენტების მიერ ლექტორების და კურსის განხორციელების შეფასებებს და კონკრეტულ ლექციებზე დაკვირვებებს. 3 წლიანი ციკლის მეშვეობით ხორციელდება სწავლის შედეგების მონიტორინგი, ყოველწლიური შეფასებებით სამიზნე ნიშნულების მიხედვით. აღნიშნული ციკლის შედეგები, მათ შორის საშუალო შეფასების მაჩვენებლები, ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის საერთო ეფექტურობის შეფასებას. ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტი სწავლების და შეფასების მეთოდების რეგულარული ტრენინგების მეშვეობით აუმჯობესებს პროგრამის სწავლის შედეგებს. პერსონალის სახელმძღვანელო ასევე მოიცავს რჩევებს და ტრენინგის გამოყენების ვარიანტებს.

პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგი ხორციელდება ანგარიშის მეშვეობით, რომელიც განხილულია პროგრამის კომიტეტის და დამსაქმებლების/კურსდამთავრებულების წარმომადგენლების მიერ. აღნიშნული შეხვედრა აფასებს ხარისხს და აყალიბებს გაუმჯობესების

წინადადებებს, რომლებიც ხორციელდება კომიტეტის მიერ და აისახება მომდევნო წლის შეფასების ანგარიშში.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები მოიცავს თითოეული სწავლის შედეგისთვის მკაფიოდ განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებს, რაც უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ მიდგომას სტუდენტების მოსწრების შესაფასებლად. ვიზიტის დროს ცხადი იყო, რომ უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგის სისტემური პროცესი. შედეგების ანალიზი და დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან შედარება ხორციელდება რეგულარულად, რაც ადასტურებს მუდმივი გაუმჯობესებას და ანგარიშვალდებულებას.

გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალს გააჩნია სწავლის შედეგების შეფასების გამოცდილება. აღნიშნული გამოცდილება იძლევა სტუდენტების მოსწრების ეფექტური შეფასების და გაუმჯობესების შესაძლებლობას. ვიზიტის დროს შეგროვებულმა მტკიცებულებებმა დაადასტურა, რომ პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პერსონალი იღებს მნიშვნელოვან მხარდაჭერას სწავლის შედეგების შექმნასთან, გაზომვასთან და ანალიზთან დაკავშირებული აუცილებელი უნარების განვითარების მიზნით. აღნიშნული უწყვეტი პროფესიული განვითარება მნიშვნელოვანია განათლების მაღალი სტანდარტის შესანარჩუნებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ სწავლის შედეგები ეფექტური და რელევანტურია იმისათვის, რომ მოამზადოს სტუდენტები მომავალი კარიერისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტის დროს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული გასაუბრებების დროს მიღებული ინფორმაცია.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. "საჯარო მმართველობა და პოლიტიკა" საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2. "ციფრული მმართველობა" სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 3. "საჯარო მმართველობა" სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარების, დამტკიცების, განხორციელების და გაუქმების სახელმძღვანელო. აღნიშნული წესები გაწერილია რექტორის მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტში. უსდ ითვალისწინებს პერსონალის, პროფესიული ასოციაციების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების უკუკავშირის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აღნიშნულ პროგრამებთან დაკავშირებით. შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების მართვის ინსტიტუციური სისტემა, რომელიც მოიცავს ძირითადი პერსონალისგან შემდგარ პროგრამის კომიტეტს და კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომიტეტს. უნივერსიტეტის პროგრამის შემუშავება ან მოდიფიცირება ითვალისწინებს ერთიან პროცესს, რომელსაც ეწოდება დაგეგმე - განახორციელე -

შეამოწმე - იმოქმედე (PDCA). აღნიშნული მოიცავს თანამშრომლობას სხვადასხვა ჯგუფებს შორის, როგორცაა: პროგრამის კომიტეტი, ფაკულტეტი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები, ბიბლიოთეკის პერსონალი და უნივერსიტეტის რამდენიმე ცენტრი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინირებს უწყვეს აღნიშნული ჯგუფების მონაწილეობას "PDCA" ციკლის განხორციელების პროცესში, საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების საფუძვლიანი და ინტეგრირებული მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით.

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის სტანდარტებს. მათი შინაარსი, სტრუქტურა, მოცულობა და სირთულე მორგებულია სწავლების შესაბამის დონეს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) და საგანმანათლებლო ციკლს. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ცხადია, რომ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები შეესაბამება როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ასევე ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემას. თითოეული შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციებს. ზოგადად, შეფასებული პროგრამების სტრუქტურა მკაფიო, ლოგიკური და თანმიმდევრულია.

გასაუბრებების დროს გამოვლინდა, რომ საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტები ჩამოყალიბებული იყოს უფრო სტრუქტურირებული და სტანდარტიზებული მიდგომით. აღნიშნული დადასტურდა სტუდენტების და კურსდამთავრებულების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული აქვს ზოგადი თანამშრომლობის მემორანდუმები, სასურველია ჩამოყალიბდეს უფრო ძლიერი და სტრუქტურირებული პრაქტიკული კომპონენტი. აღნიშნული უნდა მოიცავდეს მკაფიოდ განსაზღვრულ პრაქტიკულ შედეგებს, სპეციალურად ჩამოყალიბებულ სტაჟირების შესაძლებლობებს და სტუდენტების მისაღებად საჯარო სექტორის მზაობის შეფასებას სტუდენტების მათი ორგანიზაციების საქმიანობაში ინტეგრირებისთვის. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სტუდენტების ინდივიდუალურ პროფესიულ განვითარებას. უნივერსიტეტთან და დამსაქმებლებთან გამართული გასაუბრებების შემდეგ გამოვლინდა, რომ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიზნით ყველა მხარე უნდა შეთანხმდეს უფრო კონკრეტულ ჩარჩოზე და სტანდარტებზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1. "საჯარო მმართველობა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

"საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 180 კრედიტისგან (120 მიეკუთვნება სავალდებულო კურსებს, 30 კრედიტი არჩევით და 30 კრედიტი თავისუფალ კურსებს) და მისი ხანგრძლივობაა 3 წელი ან 6 სემესტრი. ახალი პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის

მოთხოვნების შესაბამისად, დამსაქმებელთა მოსაზრებების გათვალისწინებით. პროგრამა ხორციელდება ბათუმში სამთავრობო დაწესებულებებთან, მათ შორის აჭარის მთავრობის წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით. სტუდენტები გადიან სტაჟირებას სხვადასხვა მუნიციპალურ უწყებაში და საქმდებიან სტაჟირების შემდეგ. თუმცა, გასაუბრებების დროს გამოვლინდა, რომ პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს ესაჭიროება უფრო სტრუქტურირებული და სტანდარტიზებული მიდგომა. აღნიშნული დადასტურდა სტუდენტების და კურსდამთავრებულების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები, სასურველია უფრო ძლიერი და სტრუქტურირებული პრაქტიკული კომპონენტის ჩამოყალიბება. აღნიშნული უნდა მოიცავდეს მკაფიოდ განსაზღვრულ პრაქტიკულ შედეგებს, სპეციალურად ჩამოყალიბებულ სტაჟირების შესაძლებლობებს და სტუდენტების მისაღებად საჯარო სექტორის მზაობის შეფასებას სტუდენტების მათი ორგანიზაციების საქმიანობაში ინტეგრირებისთვის. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სტუდენტების ინდივიდუალურ პროფესიულ განვითარებას. უნივერსიტეტთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებების შემდგომ ნათელი გახდა, რომ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გასაძლიერებლად ყველა მხარე უნდა შეთანხმდეს უფრო კონკრეტულ ჩარჩოზე და სტანდარტებზე.

შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა სტრუქტურირებული, რომ დაეხმაროს სტუდენტებს მიაღწიონ მნიშვნელოვან სწავლის შედეგებს, მოამზადონ ცოდნით, კვლევითი უნარებით, პიროვნული თვისებებით და სოციალური კომპეტენციებით აღჭურვილი განათლებული პროფესიონალები, რომლებიც საჭიროა სამომავლო კარიერისთვის. სასწავლო გეგმა შემუშავებულია დედუქციური მსჯელობის გამოყენებით და მყარი საფუძვლის შესაქმენლად იწყება ზოგადი კურსებით. დამატებით, პროგრამის სხვადასხვა კურსში გათვალისწინებულია ციფრული კომპონენტი და სავალდებულო კურსი ელექტრონულ მმართველობაში, ასევე ახლად დანერგილი ციფრული მართვა, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან სიახლეს პროგრამის სასწავლო გეგმაში. მთლიანობაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამა კარგად არის შემუშავებული იმისათვის, რომ ფეხი აუწყოს საჯარო მმართველობის სფეროში არსებულ უახლეს მიღწევებს და დააკმაყოფილოს რეგიონის საჭიროებები.

პრაქტიკული უნარების გასაძლიერებლად, პროგრამა მოიცავს პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სწავლებას, ხოლო სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაწიონ პროფესორის ასისტირება. თანამშრომლობითი ინიციატივები, მაგალითად, პარტნიორობა ევროპულ სამეცნიერო ინსტიტუტთან, დოქტორანტებს სთავაზობს საერთაშორისო ჩართულობისა და გამოქვეყნების შესაძლებლობებს.

უნივერსიტეტი ასევე ხელს უწყობს სტუდენტთა კვლევით საქმიანობას სამეცნიერო ლაბორატორიების შექმნით, რაც ხელს უწყობს დამოუკიდებელი და ინტერდისციპლინარული კვლევის განვითარებას. პროგრამა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოების წინაშე წვლილს, რაც მოიცავს სტუდენტების მიერ სტატიების გამოქვეყნებისა და საზოგადოებრივ დისკურსში მონაწილეობის ვალდებულებას.

ფრანკოფონიის უნივერსიტეტების საერთაშორისო სააგენტოსთან აფილირება სთავაზობს დამატებით საერთაშორისო მობილობის გრანტებს, რაც აუმჯობესებს კვლევით შესაძლებლობებსა და

კომუნიკაციის უნარებს. თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებების შერწყმა უზრუნველყოფს კვლევითი საქმიანობის მაღალ ხარისხს, ხოლო მრავალი დოქტორანტის დისერტაციის თემატიკა ასახავს მათ გამოცდილებას სფეროში. სამეცნიერო კვლევისა და კრეატიული ინიციატივების ფონდი ხელს უწყობს ინოვაციასა და კვლევებს დოქტორანტთა შორის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- დანართი 2,6: სტუდენტური აქტივობები, ჩართულობა პროექტებში
- დანართი 2,7: მემორანდუმები
- დანართი 2,13: სადოქტორო სწავლება
- გასაუბრების შედეგები.
-

- **კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** რეკომენდებულია, სტუდენტების სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის შეფასების გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტმა შეიმუშავოს და შეინარჩუნოს ყოვლისმომცველი სტატისტიკური ჩარჩო. აღნიშნული ჩარჩოს მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს მონაცემების განაწილება აქტივობის სახის, მონაწილეობის კატეგორიის (მაგ. სემინარები, ონლაინ / პირისპირ ღონისძიებები, სამუშაო შეხვედრები და ა.შ.), სქესის და სხვა შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით, ასევე წლების მიხედვით აღირიცხოს დასწრების მაჩვენებელი დროის მანძილზე დინამიკის მონიტორინგის მიზნით.

კლასტერის საერთო რჩევები:

1. სასურველია, გაძლიერდეს და გაფართოვდეს პარტნიორობა საჯარო ორგანიზაციებთან. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია თანამშრომლობითი ღონისძიებების, ერთობლივი პროექტების საშუალებით, რომლებიც ხელს უწყობს საერთო ინტერესებს და აუმჯობესებს სტუდენტების საგანმანათლებლო გამოცდილებას.
2. სასურველია, შემუშავდეს მემორანდუმების რეგულარული გადახედვის და განახლების გრაფიკი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობა და ასახავდეს ინდუსტრიის მიმდინარე საჭიროებებს. აღნიშნული პროაქტიული მიდგომა ხელს შეუწყობს სასწავლო გეგმაში პრაქტიკული კომპონენტების რელევანტურობის და ეფექტურობის შენარჩუნებას.
3. სასურველია, გაძლიერდეს დამსაქმებელთა ჩართულობა და სტრუქტურირებული ჩართულობის შესაძლებლობების შესაქმნელად, როგორიცაა: საკონსულტაციო საბჭოები, მოწვეული ლექტორები და ა.შ. გამოყენებულ იქნეს დამსაქმებლების დადებითი უკუკავშირი. დამსაქმებელთა პირდაპირი ჩართულობა ხელს შეუწყობს სასწავლო გეგმაში და კომპონენტებში მათი ხედვების ინტეგრირებას.
4. სასურველია, ინოვაციური პროექტების შემუშავების მიზნით წახალისდეს დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, რომლებიც შესალოა გათვალისწინებულ იქნას სასწავლო გეგმაში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2 - ციფრული მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

რჩევები: რეკომენდებულია პროექტების მენეჯმენტის სავალდებულო კურსის დამატება, როგორც ეს დეტალურადაა მოცემული კომპონენტში 1.4. - საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი. ამასთანავე, Agile მეთოდოლოგიებზე ცენტრირებული პრაქტიკული კომპონენტის ინკორპორირება კიდევ უფრო მეტად განავითარებს სტუდენტთა პრაქტიკულ გამოცდილებას და მათ საშუალებას მისცემს ეფექტურად გამოიყენონ თეორიული ცოდნა რეალურ ცხოვრებისეულ სცენარებში.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 - ციფრული მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3: საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	☒	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-წავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის მხარდასაჭერად განსაზღვრავს სწავლებისა და სწავლის მორგებულ მეთოდებს, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან. აღნიშნული ჩარჩო ეხმარება პროგრამის პერსონალს სასწავლო დისციპლინების ეფექტურ დაგეგმვაში, რაც უზრუნველყოფს შერჩეული მეთოდების საგანმანათლებლო საფეხურთან შესაბამისობას და სასწავლო კურსებში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობას.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 „საჯარო მმართველობა და პოლიტიკა“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამა მრავალფეროვან სასწავლო მეთოდებს იყენებს სწავლის ეფექტურობის გასაძლიერებლად. აღნიშნული მეთოდები მოიცავს: ლექციებს, პრაქტიკულ სამუშაოებს და სამუშაო ჯგუფებს, სინქრონულ ონლაინ სესიებს, ელექტრონულ რესურსებს, ინდუქციურ და დედუქციურ დასკვნებს, ანალიზს, წიგნის შესწავლას, ვერბალურ ახსნებს, დემონსტრაციებს, დამოუკიდებელ სწავლას, დისკუსიებსა და დებატებს, შემთხვევების ანალიზს, გონებრივ იერიშს, ევრისტიკულ მიდგომებს, გუნდურ მუშაობას და ვიდეო მასალების გამოყენებას კომენტარებით.

პროგრამის სილაბუსებში დეტალურად არის აღწერილი სწავლება-სწავლის ეს მეთოდები, რაც უზრუნველყოფს მათ კურსის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან შესაბამისობას. ეს სტრატეგიული შესაბამისობა მნიშვნელოვანი როგორც კონკრეტული კურსის მიზნების, ისე პროგრამის უფრო ფართო მიზნების მიღწევისათვის.

პროგრამა 2 – „ციფრული მმართველობა“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ციფრული მმართველობის სამაგისტრო პროგრამაში ლექციები სწავლების ძირითადი მეთოდია, რომელიც მიზნად ისახავს კოგნიტური ინფორმაციის გადაცემას როგორც სტრუქტურირებულ თემების, ისე სპონტანურ დისკუსიების საშუალებით. პროგრამა იყენებს ორი ძირითადი ტიპის ლექციას: ინტერაქტიული ლექციები, რომლებიც ხელს უწყობს აქტიურ დიალოგს სისტემური ცოდნის,

კრიტიკული აზროვნების და ოპერაციული უნარების გასაუმჯობესებლად და ლექცია პრეზენტაციები, რომლებიც ვიზუალურ მასალას იყენებს გაგებისა და კომუნიკაციის ხელშესაწყობად.

ჯგუფურ გარემოში სტუდენტები მონაწილეობენ სიღრმისეულ დისკუსიებში, რათა წარმოაჩინონ ლექციის მასალის გაგება, გაანალიზონ რთული საკითხები, გაცვალონ მოსაზრებები და განივითარონ მრავალმხრივი პერსპექტივები. ასევე, ისინი აქტიურად ერთვებიან გუნდურ საქმიანობებში, რაც მათ საშუალებას აძლევს, ლოგიკური დასკვნები გამოიტანონ. შეფასების მეთოდები მოიცავს დისკუსიებს, არგუმენტირებულ ესეებს, პრობლემურ სემინარებს, ანალიტიკურ აბსტრაქტებს, ფორუმებს, დებატებს, გადაწყვეტილებების ხის ანალიზს, ანგარიშების პრეზენტაციებს, შემთხვევების ანალიზს და ა.შ.

პრაქტიკული სწავლება აქცენტს აკეთებს თეორიული ცოდნის რეალურ სიტუაციებში გამოყენებაზე, მათ შორის შემთხვევების ანალიზზე, სიტუაციურ სავარჯიშოებზე და პრობლემების გადაჭრის ამოცანებზე. სიტუაციური მოდელირება სტუდენტებს ეხმარება პრაქტიკული უნარების განვითარებაში ისეთ გარემოში, რომელიც მაქსიმალურად ჰგავს რეალურ კონტექსტს და ამგვარად აძლიერებს მათ თეორიულ გაგებას.

სწავლების მეთოდებში ასევე ინტეგრირებულია ელექტრონული რესურსები, რაც შესაძლებელს ხდის პროფესორებთან კონსულტაციებს, ფორუმებში მონაწილეობას პლატფორმებზე, როგორიცაა Nexus, ასევე საშინაო დავალებების ონლაინ ატვირთვასა და შეფასებას იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ფიზიკურად ვერ ესწრებიან. დირექტიული სწავლის მიდგომა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად შეასრულონ ესეები, პროექტები და კვლევითი ამოცანები პროგრამის ფარგლებში, რითაც ხელს უწყობენ დამოუკიდებელი კვლევის უნარების განვითარებას, მათ შორის ინფორმაციის მოპოვებას, ანალიზსა და წერას.

სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები მკაფიოდ განსაზღვრავს სწავლება-სწავლის გამოყენებულ მეთოდებს, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას კურსის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამა 3: „საჯარო მმართველობა“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

უნივერსიტეტმა სადოქტორო პროგრამისთვის დაწერა სწავლება-სწავლის ინოვაციური მეთოდები, განსაკუთრებული აქცენტით ბლოკ-სემინარებსა და პრობლემური სემინარების მიდგომებზე, რომლებიც 2011 წელს დაინერგა.

ბლოკ-სემინარის მეთოდი წარმოადგენს სადოქტორო პროგრამის ძირითად კომპონენტს და ხასიათდება ინტენსიური სესიებით, რომლებიც გრძელდება 1-4 დღის განმავლობაში, დამოუკიდებელი სტუდენტური მუშაობისთვის განკუთვნილი ინტერვალებით. სტუდენტები ირჩევენ თემატურ ბლოკებს, რომლებიც მათ ინტერესებს შეესაბამება, რაც ხელს უწყობს პერსონალიზებულ სწავლებას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს ინტერდისციპლინურ თანამშრომლობას, რადგან მასში მონაწილეობენ სხვადასხვა დარგის წამყვანი პროფესორები, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საგანმანათლებლო გამოცდილებას.

პრობლემური სემინარის მეთოდი სტუდენტებს საშუალებას აძლევს აკადემიურ ჯგუფში ითანამშრომლონ კონკრეტული საკითხების შესასწავლად, გამოავლინონ შესაბამისი ასპექტები,

გამოიტანონ დასკვნები და დამოუკიდებლად იმუშაონ. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს არსებული ცოდნის სისტემურ გადაფასებას და სტუდენტებს ამზადებს კვლევისა და სადისერტაციო მუშაობისათვის.

სწავლების აქტიური მეთოდები, მათ შორის ლექციები და დისკუსიები, ინტეგრირებულია ისეთ კურსებში, როგორებიცაა "უმაღლესი განათლების თანამედროვე პედაგოგიკა და ფსიქოლოგია", რომლებიც სტუდენტებს აკადემიური როლებისთვის და თანამედროვე პედაგოგიური პრაქტიკებისთვის ამზადებს. კურსი „სადოქტორო კვლევის მეთოდოლოგია და დისერტაციის არქიტექტონიკა“ ყურადღებას ამახვილებს სტუდენტების კვლევითი უნარების გაუმჯობესებაზე პრეზენტაციებისა და პრაქტიკული აქტივობების მეშვეობით.

სადოქტორო პროგრამაში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სტანდარტიზებული მიდგომა უზრუნველყოფს რეგულარულ ინტერაქციას დოქტორანტებსა და მათ ხელმძღვანელებს შორის, რაც ხელს უწყობს კვლევის უნარების დამოუკიდებელ განვითარებას. გარდა ამისა, არჩევითი მოდულის სტანდარტი სტუდენტებს საშუალებას აძლევს აირჩიონ საგანმანათლებლო და სამეცნიერო კომპონენტები მათი ინტერესების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს აკადემიურ თავისუფლებას.

საერთო ჯამში, აღნიშნული სტრუქტურირებული მეთოდები და ინდივიდუალური კონსულტაციები ხელს უწყობს დოქტორანტების აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას, ახალისებს რა დამოუკიდებლობასა და პასუხისმგებლობას სამეცნიერო საქმიანობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- დანართი 2,14: სწავლება-სწავლის მეთოდები;
- დანართი 2,15: ელექტრონული რესურსები
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 - ციფრული მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 3: საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	X	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სტუდენტთა შეფასების პროცესი მიჰყვება განსაზღვრულ პროტოკოლებს. წარმოდგენილი პროგრამები შეიცავს შეფასების სისტემის დეტალურ აღწერას. გარდა ამისა, თითოეულ სილაბუსში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტთა სასწავლო მიზნების მიღწევის დონის შეფასებას.

უნივერსიტეტი იყენებს სწავლის შედეგების შეფასების ადეკვატურ, გამჭვირვალე და სამართლიან სისტემას, რომელიც შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების კანონმდებლობას და ხელს უწყობს სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა და შეფასების პროცედურები გამჭვირვალეა და ეფუძნება კომისიის მიერ შესრულებულ კოლეგიალურ შეფასებას.

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება შედგება მრავალკომპონენტური ელემენტებისგან და ფორმულირებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია სტუდენტთა შეფასების პროცესში გამოიყენოს აღნიშნული წესი.

შეფასებისათვის გამოყენებულია შემდეგი სქემა:

დადებითი შეფასების ხუთი ტიპი:

(A) ფრიადი - 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

(C) კარგი - 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. სასწავლო პროცესის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ვებგვერდზე: (https://www.gruni.edu.ge/footer_content/index/325/1447832401).

შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ ბაზაში (sgruni.ini.ge/), რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. სტუდენტები იღებენ უკუკავშირის როგორც სწავლის შედეგებზე, ასევე საკუთარ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე.

სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებას მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა უნივერსიტეტის პროცედურების შესაბამისად ხორციელდება შეფასების შესახებ და ნაშრომის დაცვა საჯაროა. ნაშრომის შეფასებაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლის მონაწილეობა.

სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებას მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა უნივერსიტეტის პროცედურების შესაბამისად ხორციელდება შეფასებისა და დაცვის შესახებ. ნაშრომის შეფასებაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლ(ებ)ის მონაწილეობა. ნაშრომის დაცვა ხორციელდება

საჯაროდ. პროცესი რეგულირდება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტებითა და მათი შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით. აღნიშნული პროცედურები განსაზღვრულია შიდა რეგულაციებით: „უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება“ და „დოქტორანტურის დებულება“. ეს დოკუმენტები ასევე მკაფიოდ განსაზღვრავენ დისერტაციის აკადემიური სტილის მოთხოვნებს, რომლებიც წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის.

უნივერსიტეტი იყენებს პლაგიატის გამოვლენის სპეციალურ პროგრამას - „Turnitin“. პლაგიატზე შემოწმების რეგულაციის მიხედვით, პირდაპირი ციტატები არ უნდა აღემატებოდეს ნაშრომის მთლიანი ტექსტის 12%-ს. ნაშრომში დაუშვებელია დაუდასტურებელი ტექსტის არსებობა (0%). პლაგიატის ან აკადემიური თაღლითობის გამოვლენა ხდება სკოლის ადმინისტრაციის, ლექტორების ან იმ პირების მიერ, რომლებიც სტუდენტთა ნაშრომების შემოწმებასა და შეფასებაში მონაწილეობენ. თუმცა, ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია სტუდენტთა ცნობიერების ამაღლება პლაგიატის დაშვებული ნორმების შესახებ, რომლებიც დადგენილია უსდ-ის სტანდარტებით.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა უფლებების დაცვის მექანიზმი, სტუდენტთა სწავლების პროცესთან დაკავშირებული საჩივრების მექანიზმები და შესაბამისი აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებიც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროცესის რეგულაციებით. სტუდენტებს აქვთ უფლება გაასაჩივრონ თავიანთი აკადემიური მოსწრების შეფასება. თუ სტუდენტი არ ეთანხმება მათი სწავლის შედეგების შეფასებას — როგორცაა მიმდინარე შეფასებები, შუალედური/საბოლოო/დამატებითი გამოცდები, ტესტები, თემატური პროექტები ან სხვა ფორმის შეფასებები — მას შეუძლია შეფასების შედეგის მიღებიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში დასაბუთებული საჩივარი წარადგინოს დეკანთან. აღნიშნული საკითხი განიხილება დეკანის მიერ დანიშნული დარგობრივი კომისიის მიერ, რომელიც შეისწავლის საჩივარს და წარმოადგენს დასკვნას. დასკვნის საფუძველზე, დეკანი იღებს გადაწყვეტილებას ან უზრუნველყოფს საკითხის განხილვას ფაკულტეტის საბჭოზე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად მონიტორინგს უწევს სტუდენტთა შეფასებების სანდოობასა და ვალიდურობას. შეფასების შედეგები გაანალიზდება და გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის.

დისერტაციის აკადემიური სტილის მოთხოვნები მკაფიოდ განისაზღვრება ხელმძღვანელების მიერ ნაშრომის წერის პროცესის დასაწყისში. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, სტუდენტები იღებენ ხელმძღვანელების მხარდაჭერას და რეკომენდაციებს, რათა მიჰყვნენ აღნიშნულ სტილისტურ სტანდარტებს. დისერტაციის ხარისხის შეფასებისას ამ მოთხოვნების დაცვა მნიშვნელოვანი ფაქტორია. ხელმძღვანელები უწყვეტ მხარდაჭერას და უკუკავშირს უზრუნველყოფენ, რათა სტუდენტებმა ეფექტურად შეიტანონ აღნიშნული მითითებები თავიანთ ნაშრომებში, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს დისერტაციის მთლიანობისა და აკადემიური სტანდარტების დაცვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;

- სილაბუსები;
- მონაცემთა ელექტრონული ბაზა (sgruni.ini.ge/);
- უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- დოქტორანტურის დებულება; უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- გასაუბრების შედეგები.
-

- **კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** რეკომენდებულია, უსდ - ს სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების ცნობიერების ამაღლება პლაგიატის დასაშვები მაჩვენებლის შესახებ.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 - ციფრული მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 3: საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	X	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2, სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 - ციფრული მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 3: საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	X	☐	☐

3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდამჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა შექმნა და განავითარა სტუდენტთა მხარდაჭერისა და კონსულტაციის სერვისები, რომლებიც მოიცავს სასწავლო პროცესის დაგეგმვას, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას, დასაქმებასა და პროფესიულ განვითარებას. სტუდენტებზე ინფორმაციის დისემინაცია იწყება საორიენტაციო შეხვედრებით, რომლებიც ტარდება სასწავლო პროცესის პირველ დღეს, განსაკუთრებით პირველკურსელი სტუდენტებისთვის. მათ ხვდებიან ფაკულტეტისა და შესაბამისი პროგრამის წარმომადგენლები და აწვდიან ინფორმაციას ყველა საჭირობო საკითხზე. ასევე, პროგრამაში ჩართული პერსონალი და დამხმარე დეპარტამენტები სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას უნივერსიტეტში ხელმისაწვდომი კონსულტაციების შესახებ.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ყველა საჭირო სივრცესა და აღჭურვილობას სასწავლო პროცესის შეუფერხებლად ფუნქციონირებისთვის და უზრუნველყოფს სტუდენტური სივრცეების არსებობას ექსტრაკურკულარული აქტივობებისთვის.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობენ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ERASMUS+-ის დაფინანსების ფარგლებში ან ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე. უნივერსიტეტმა წარმოადგინა გაცვლითი სტუდენტების სია 2021-დან 2024 წლამდე პერიოდზე. ასევე, უნივერსიტეტი ზრუნავს იმ სტუდენტების წახალისებაზე, რომლებიც გამოირჩევიან სწავლაში მაღალი მიღწევებითა და შედეგებით.

უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის ცენტრი, რომელიც დაქვემდებარებულია სწავლება-სწავლისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიმართულების პრორექტორის ქვეშ. ეს ცენტრი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის პროფესიული ორიენტაციას და დასაქმებასთან დაკავშირებული სხვა საინფორმაციო ღონისძიებების ორგანიზებას. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის ცენტრი წელიწადში ერთხელ აწყოფს დასაქმების ფორუმს, რათა მოიზიდოს პოტენციური დამსაქმებლები და უზრუნველყოფოს მათთან თანამშრომლობა. ფორუმის ფარგლებში, პოტენციური დამსაქმებლებს ეკითხებიან ვაკანსიებთან დაკავშირებით, ხოლო მათი ადამიანური რესურსების ოფიცრები ან მენეჯერები სტუდენტებთან აწყოფენ გასაუბრებას. დასაქმების ფორუმი საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაუზიარონ თავიანთი უნარები და ცოდნა პოტენციურ დამსაქმებლებს და ამით მართონ თავიანთი

კარიერული განვითარება. ხშირად, ზოგიერთი ორგანიზაცია სპეციალურად უნივერსიტეტისთვის გეგმავს სტაჟირების პროგრამებს; ყველაზე წარმატებულები კი სთავაზობენ დასაქმებას.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი ინფორმაციის გავრცელებისთვის იყენებს შემდეგ საშუალებებს: უნივერსიტეტის ვებსაიტები (<https://www.gruni.edu.ge/>; <https://sgruni.ini.ge/>; <https://nexus.gruni.ge/>), უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტა და სტუდენტებთან ინდივიდუალური/ინტერპერსონალური კომუნიკაცია.

ზემოთ აღნიშნული სერვისების გარდა, აკადემიური, მოწვეული და სხვა ადმინისტრაციული პერსონალი ჩართულია სტუდენტების კონსულტირებაში სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობაში, რაც დადასტურდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის დატვირთვა, ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სამუშაო აღწერები
- ინფორმაცია სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებში.
- ინფორმაცია სტუდენტების ჩართულობის შესახებ გაცვლით პროგრამებში.
- ვებსაიტები: (<https://www.gruni.edu.ge/>; <https://sgruni.ini.ge/>; <https://nexus.gruni.ge/>)
- გასაუბრების შედეგები.
-

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

- **კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში	ნაწილობრივ შესაბამისობაში	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
-------------------------------	-------------------------------------	----------------------------	------------------------------	---

კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები		ა მოთხოვნებთან	ა მოთხოვნებთან	
პროგრამა 1 - საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 - ციფრული მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 3: საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	X	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა შეიმუშავა მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის უფლებებისა და მოვალეობების მარეგულირებელი დოკუმენტები „მაგისტრატურის დებულებისა“ და „უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების“ საფუძველზე. ამ დოკუმენტების მიხედვით, ხელმძღვანელი რეგულარულად მართავს კონსულტაციებს მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან. კონსულტაციების სიხშირე დამოკიდებულია პროგრამის სპეციფიკასა და კვლევის თემატიკაზე. მაგისტრანტებს ხელმძღვანელობენ დარგის კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც აქვთ შესაბამისი პუბლიკაციები, სამეცნიერო აქტივობები, შემოქმედებითი და კვლევითი პროექტები და ა.შ. სამაგისტრო ნაშრომს შეიძლება ხელმძღვანელობდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური ან მოწვეული

პროფესორი. სტუდენტებს თავისუფლად შეუძლიათ აირჩიონ ნაშრომის თემა და სამეცნიერო ხელმძღვანელი; ამ პროცესში ნაშრომის თემა ერთგვარი ფილტრის როლს ასრულებს, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტმა უნდა შეარჩიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელი თემატიკის მიხედვით.

სადოქტორო საფეხურზე, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი (მათ შორის მოწვეული), ემერიტუსი ან მეცნიერი/აკადემიური დოქტორი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება დოქტორანტის კვლევის თემატიკის მიმართულებით. დოქტორანტი თავად ირჩევს სამეცნიერო ხელმძღვანელს, რომელიც მას რეკომენდაციებითა და გზამკვლევობით ეხმარება კვლევაზე ორიენტირებული საქმიანობის პროცესში. ასევე, ხელმძღვანელი ახორციელებს დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების რაოდენობრივ და თვისებრივ მონიტორინგს, უზრუნველყოფს კვლევის სწორი მიმართულებით წაყვანას და მართავს კონსულტაციებს.

მაგისტრანტისა და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ასევე ვალდებულია, დაეხმაროს სტუდენტს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით სფეროში ინტეგრაციის პროცესში. უნივერსიტეტის რეგულაციის მოთხოვნების მიხედვით, სამეცნიერო ხელმძღვანელს ერთდროულად შეუძლია მაქსიმუმ 5 სტუდენტის ხელმძღვანელობა.

პლაგიატის პრევენციის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს „Turnitin“-ის პლაგიატის დეტექტორს. პლაგიატის შემოწმების პროცედურის რეგულაცია განსაზღვრავს პროცედურებსა და მოთხოვნებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე სტუდენტთა ნაშრომებისთვის (ლიტერატურა, დამხმარე ლიტერატურა, მონოგრაფია, სტატია, დისერტაცია, სამაგისტრო ნაშრომი, საბაკალავრო ნაშრომი).

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა შეიმუშავა მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობასა და მაგისტრანტებისა და დოქტორანტების რაოდენობას შორის თანაფარდობას.

უსდ- ს დანერგილი აქვს მექანიზმების სისტემა, რომელიც აფასებს სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების ეფექტურობას. აღნიშნული მექანიზმები ითვალისწინებს ხელმძღვანელების პასუხისმგებლობების რამდენიმე კრიტიკულად მნიშვნელოვან ასპექტს.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 2 - ციფრული მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ციფრული მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე, სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა შეადგენს 7/0-ს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კვლევითი კომპონენტის წარმატებული დასრულების საფუძველს წარმოადგენს სტუდენტის მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების ფარგლებში ყველა ეტაპის დროული შესრულება, რაც მოცემულია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებაში.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები პროგრამა 2 - ციფრული მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	7/0
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	არ არსებობს
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	არ არსებობს
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	არ არსებობს
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	7/0
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	არ არსებობს

ნაშრომის ხელმძღვანელები გზამკვლეობას უწევენ სტუდენტებს წერის მთელი პროცესის განმავლობაში, რაც მოიცავს შესაბამისი კვლევითი თემის შერჩევასა და კომპლექსური გეგმის შემუშავებაში დახმარებას, ასევე შესაბამისი ბიბლიოგრაფიული რესურსების შედგენას. ეს საფუძვლიანი მხარდაჭერა არსებითია წარმატებული კვლევის განხორციელებისთვის. სტუდენტის პროგრესის პარალელურად, ხელმძღვანელები მუდმივად აკვირდებიან ნაშრომის განვითარებას. ისინი რეგულარულად აწვდიან უკუკავშირს და მზად არიან დაეხმარონ სტუდენტს კვლევის მიმართულების კორექტირებაში, თუ ის მის დაგეგმილ გზას ასცდება. ასეთი უწყვეტი ჩართულობა უზრუნველყოფს,

რომ სტუდენტები კვლევის პროცესში სწორად მოძრაობენ და არსებულ სირთულეებს ეფექტურად უმკლავდებიან.

ნაშრომის დასრულების შემდეგ, ხელმძღვანელები ვალდებული არიან, წარადგინონ გააზრებული შეფასება, რომელიც ასახავს მათ შეხედულებებს სტუდენტის კვლევისა და წერიტი საქმიანობის შესახებ. ამ საკვანძო პასუხისმგებლობების შეფასებით, უნივერსიტეტი ისახავს მიზნად უზრუნველყოს მისი მექანიზმების მიერ, სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების მიერ კვლევის პროცესში უზრუნველყოფილი, ხელმძღვანელობისა და მხარდაჭერის ეფექტური გაზომვა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3: „საჯარო მმართველობა“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამაზე სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების პროპორცია შეადგენს 7/8-ს, რაც ნიშნავს, რომ ერთი სამეცნიერო ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს 1 ან 2 დოქტორანტს. აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ მართვას.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
პროგრამა 3: საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	0/7
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	7
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	არ არსებობს
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	8
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	არ არსებობს
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	7/8

უნივერსიტეტმა შექმნა ყოვლისმომცველი მექანიზმები საგანმანათლებლო პროცესში, დოქტორანტებისათვის მიწოდებული აკადემიური და კვლევითი გზამკვლეობის ეფექტური შეფასებისათვის.

პროცესი იწყება სტუდენტების აკადემიური საქმიანობის მონიტორინგით, სანამ ისინი ჩაერთვებიან სამეცნიერო კვლევაში. მხარდაჭერა მოიცავს თემების შერჩევას სემინარებისათვის და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს დამატებით სასწავლო საჭიროებებთან დაკავშირებით. უწყვეტი კონსულტაციები ფარავს კვლევასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს, მათ შორის სამეცნიერო ნაშრომების, მათ შორის დისერტაციების, დიზაინს, მართვასა და შემუშავებას.

მხარდაჭერა მოიცავს დახმარებას სადისერტაციო კვლევითი პროექტების ფორმულირებაში, ინდივიდუალური გეგმების შედგენასა და ბიბლიოგრაფიაში. რეგულარული შეხვედრები იმართება კვლევითი პროგრესის განსახილველად, გამოწვევების იდენტიფიცირებისათვის და კონსტრუქციული უკუკავშირისა და რეკომენდაციების მისაწოდებლად, კვლევის ეფექტურობის გამჯობესების მიზნით.

თითოეული სემესტრის ბოლოს მზადდება ანგარიშები, რომლებიც ასახავს სტუდენტების პროგრესს და წარედგინება შესაბამის აკადემიურ საბჭოებს განხილვისთვის. ასევე ხდება იმ პროცედურული საკითხების მოგვარება, რომლებიც შესაძლოა უარყოფითად აისახოს შეფასებაზე. კვლევის ხელმძღვანელი მონაწილეობს საატესტაციო-საექსპერტო კომისიის შეხვედრაში მრჩეველის უფლებით. გარდა ამისა, შეფასება ხორციელდება სტუდენტების აკადემიური მოსწრებისა და პიროვნული თვისებების შესახებ, რაც საჭიროების შემთხვევაში იძლევა საშუალებას, რომ გაუქმდეს ხელმძღვანელობა, რასაც თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი დასაბუთება.

ამ მექანიზმების მიზანია დოქტორანტებისთვის მაღალი ხარისხის მხარდაჭერისა და ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს მათ წარმატებასა და განვითარებას აკადემიური და კვლევითი საქმიანობის ფარგლებში.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტმა დაწერა მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ნაშრომების ხელმძღვანელების სამუშაოს შეფასების ყოვლისმომცველი ჩარჩო. აღნიშნული ჩარჩო მოიცავს სტუდენტებისგან რეგულარული უკუკავშირის მიღებას, აკადემიური პროგრესის მონიტორინგს და ნაშრომების შედეგების შეფასებას. შეფასების კრიტერიუმები ასევე შეიძლება მოიცავდეს ხელმძღვანელის ხელმისაწვდომობას, ხელმძღვანელობის ხარისხს და ვადების დაცვას. ეს მექანიზმები უზრუნველყოფს, რომ ხელმძღვანელობისა და თანახელმძღვანელობის პროცესები იყოს ეფექტური, ხელს უწყობდეს სტუდენტების აკადემიურ და პროფესიულ ზრდას და ასევე ხელს უწყობდეს მაღალი ხარისხის კვლევითი ხელმძღვანელობის განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები
- მაგისტრატურის დებულება
- უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- დოქტორანტურის დებულება; პლაგიატზე შეფასების პროცედურის განმსაზღვრელი რეგულაცია
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 2 - ციფრული მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 3: საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 - ციფრული მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 3: საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	X	☐	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომლებიც ფლობენ საჭირო კომპეტენციას, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება, ასევე შესაბამისი კომპეტენციები პროგრამის სწავლის სფეროში. და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი კომპეტენციის მქონე

კლასტერული პროგრამების განხორციელება ევალება მაღალკვალიფიციურ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, რომლებიც ეწევიან მიმდინარე კვლევით საქმიანობას და აქვთ ღირებული პრაქტიკული გამოცდილება, რაც ასახულია მოწოდებულ CV-ებში.

პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი განსაზღვრული სალექციო საათების მიღმა, ასევე უზრუნველყოფს სტუდენტთა კონსულტაციებს და აქტიურად მონაწილეობს პროგრამის განვითარებაში. ისინი არიან პროგრამის კომიტეტის წევრები, სადაც განიხილავენ, აფასებენ და აკონტროლებენ პროგრამის შედეგებს, ახორციელებენ საჭირო ცვლილებებს და ხელს უწყობენ თანამშრომლობას დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან.

აკადემიური და აფილირებული პერსონალის სამუშაო დატვირთვა განისაზღვრება კონკრეტული მინიმალური და მაქსიმალური ლიმიტებით, მათი მომზადების, სამეცნიერო კვალიფიკაციისა და უნივერსიტეტის მოთხოვნების საფუძველზე.

სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე აფილირებული პერსონალი თავისი პრაქტიკული გამოცდილებით მნიშვნელოვნად ზრდის განათლებისა და კვლევის ხარისხს. შედეგად, მათი სამუშაო საერთო დატვირთვა - სწავლებისა და კვლევითი მოვალეობების ჩათვლით - შეიძლება იყოს 40%-მდე. მათი სწავლების პასუხისმგებლობა შეიძლება შემოიფარგლოს ლექციებით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ამ შემთხვევაში სემინარებს ან პრაქტიკულ გაკვეთილებს შეიძლება უძღვებოდეს ასისტენტი ან მოწვეული სპეციალისტი, რომელიც თანამშრომლობს აფილირებულ პროფესორთან შესაბამისი სასწავლო მასალის მოსამზადებლად და სტუდენტის მუშაობის შესაფასებლად.

არააფილირებული აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვა მოიცავს სხვადასხვა დავალებას, როგორიცაა საბაკალავრო თემების ხელმძღვანელობა, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების კონსულტაცია, სამეცნიერო ნაშრომების განხილვა და რეცენზირება და სხვა კვლევით საქმიანობაში ჩართვა უნივერსიტეტის სახელით.

აფილირებული პერსონალის სასწავლო, მეთოდოლოგიური და კვლევითი დატვირთვა დგინდება ინდივიდუალური გეგმის მიხედვით, რომელიც შექმნილია უნივერსიტეტის ხარისხის მართვის დებულებით განსაზღვრულ ვადებში, სპეციალიზებული ფორმატის გამოყენებით.

მოწვეულ პერსონალის სწავლების დატვირთვა კვირაში მაქსიმუმ 10 საკონტაქტო საათით განისაზღვრება ლექციების, სემინარების ან პრაქტიკული სესიებისთვის. ისინი პასუხისმგებელნი არიან, რომ ყველა საჭირო სასწავლო მასალა მომზადდეს წინასწარ, კურსის წამყვან ასოცირებულ პროფესორთან ან, თუ ისინი დამოუკიდებლად ასწავლიან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორთან თანამშრომლობით.

პროგრამის სტუდენტები სარგებლობენ ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურებით, რომელსაც, ეფექტური მხარდაჭერისა და ხელმძღვანელობის გასაწევად, უზრუნველყოფს 15 ადმინისტრაციული

და 84 დამხმარე პერსონალის გუნდი, მათ შორის ცენტრის ხელმძღვანელები, სპეციალისტები და კოორდინატორები.

პროგრამებს ახორციელებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული ასევე აქტიურად არის ჩართული პროგრამების განხორციელების პროცესში, რომლებიც მოქმედებენ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, შესაბამისი რეგულაციების შესაბამისად.

უნივერსიტეტის რექტორი უშუალოდ ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს და მის ადმინისტრაციულ ორგანოს, გარდა დისერტაციის დაცვის პროცესისა. დამხმარე პერსონალი, მათ შორის რექტორის მიერ დანიშნული სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, პასუხისმგებელია დისერტაციის დაცვის პროცესის დოკუმენტირებაზე.

უნივერსიტეტის თავდადებული გუნდი სადოქტორო პროგრამებს კოორდინირებს, რომელიც სადოქტორო მენტორის როლსაც მოიცავს. ეს თანამდებობა, რომელსაც იკავებს აკადემიური პერსონალი, ეხმარება დოქტორანტებს პროგრამის სტანდარტებთან ადაპტაციაში, სთავაზობს ინსტრუქტაჟს უნივერსიტეტის რეგულაციების შესახებ, ატარებს ტრენინგს ინდივიდუალურ სამუშაო გეგმებსა და თვითშეფასებებზე, იძლევა რჩევებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო კომპონენტებზე და ინარჩუნებს რეგულარულ ელექტრონულ კომუნიკაციას თითოეულ სტუდენტთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 („საჯარო მმართველობა და პოლიტიკა“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამას მხარს უჭერს საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო კურიკულუმის ეფექტურ მიწოდებას, წარმატებულ სამეცნიერო კვლევას და სხვადასხვა დავალებების შესრულებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ეს კომბინაცია მხარს უჭერს პროგრამის მდგრადობას. პროგრამაში სულ 58 პროფესორი და ლექტორია ჩართული, რომელშიც შედის 9 პროფესორი (ყველა აფილირებული), 23 ასოცირებული პროფესორი (მათგან 20 აფილირებული), 3 ასისტენტ პროფესორი (ყველა აფილირებული), 1 ასისტენტ-პროფესორი (აფილირებული) და 22 მოწვეული პროფესორი. თანაფარდობა აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის არის 36:22.

პროგრამას უძღვება საჯარო მმართველობის დოქტორი და პროფესორი, რომელიც ფლობს პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის აუცილებელ გამოცდილებას და ცოდნას. ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში და სერტიფიცირებულია როგორც ტრენერი ეთიკისა და მამხილებელთა დაცვის საკითხებში გერმანიის საჯარო მოხელეთა აკადემიის (dbb Academy) მიერ. გარდა ამისა, იგი სწავლობს საქართველოს საჯარო სამსახურის კანონსა და კორუფციის პრევენციის მექანიზმებს. იგი ავტორია სახელმძღვანელოსი სახელწოდებით „ეთიკა და ქვეყნის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში“ და წვლილი მიუძღვის სხვადასხვა სამეცნიერო სტატიებსა და კვლევით პროექტებში.

პროგრამა 1 „საჯარო მმართველობა და პოლიტიკა“ საბაკალავრო პროგრამა⁸

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მოიცავს დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს ⁹	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	58	20	22	33
- პროფესორი	9	3	6	9
- ასოცირებული პროფესორი	23	6	11	20
- ასისტენტ-პროფესორი	3	2	1	3
- ასისტენტი	1	1	-	1
მოწვეული პერსონალი	22	8	4	—
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	—

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 „ციფრული მმართველობა“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ციფრული მმართველობის სამაგისტრო პროგრამას მხარს უჭერს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კარგად დაბალანსებული გუნდი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო კურიკულუმის, სამეცნიერო კვლევისა და სხვა ფუნქციების ეფექტურ განხორციელებას. პროგრამაში მონაწილეობს 15 პროფესორი და ლექტორი, მათ შორის 2 აფილირებული პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი (მათგან 5 აფილირებული), 1 ასისტენტ პროფესორი და 6 მოწვეული პროფესორი. თანაფარდობა აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის არის 9:6.

პროგრამას უძღვება პროფესორი, რომელსაც აქვს სამართლის დოქტორის ხარისხი; აკადემიური ხარისხი მიღებული აქვს 2002 წელს და პროფესორი არის 2005 წლიდან. მას ეკავა გამორჩეული პოზიციები როგორც აკადემიაში, ასევე პოლიტიკაში. 2018 წლიდან 2020 წლამდე მუშაობდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურ დირექტორად, სადაც ხელმძღვანელობდა განათლების რეფორმის სამეცნიერო კომპონენტს.

⁸ აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა .

⁹ შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

2020 წლის სექტემბრიდან ის ასევე არის BTU-ს სადოქტორო პროგრამის „ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში“ ხელმძღვანელი. გარდა ამისა, 2023 წლიდან ის წარმოადგენს აკადემიურ სექტორს „სახელმწიფო მმართველობის რეფორმის სამთავრობო კომისიაში“.

2023 წლიდან მან შეასრულა ლიდერისა და საექსპერტო როლები რამდენიმე საერთაშორისო და ადგილობრივ საგრანტო პროექტში, მათ შორის ისეთ ინიციატივებში, როგორიცაა USAID ეროვნული მმართველობის პროგრამა, USAID კანონის უზენაესობა, ფრიდომის ებერტის ფონდი და ადგილობრივი CIF სამეცნიერო გრანტი.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პუბლიკაციების მიმართულებით ძლიერი გამოცდილება, მათ შორის გამოცემული აქვს 6 წიგნი და 40 სამეცნიერო სტატია, რომელიც მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა კერძო საერთაშორისო სამართალი, ციფრული მმართველობა, ტექნოლოგიების სამართალი და ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი საკითხები.

პროგრამა 2 (სამაგისტრო პროგრამა ციფრული მმართველობა)¹⁰				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი¹¹	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	15	14	4	7
- პროფესორი	2	2	1	2
- ასოცირებული პროფესორი	6	4	1	5
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	6	4	1	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

პროგრამა 3 (სადოქტორო პროგრამა საჯარო მმართველობა)

¹⁰ აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა .

¹¹ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა მხარდაჭერილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის კარგად დაკომპლექტებული გუნდით, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო კურიკულუმის, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის და სხვა ფუნქციების ეფექტურ შესრულებას. პროგრამაში სულ 11 თანამშრომელია ჩართული, მათ შორის 5 პროფესორი (მათგან 3 აფილირებული), 5 ასოცირებული პროფესორი (მათგან 4 აფილირებული) და 1 ასისტენტ პროფესორი.

